საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი 24 ივნისი, 2013 წელი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 04-01/44

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 და 27 მაისს დამტკიცებულ უმაღლეს საგანმანათლებლო საბაკალავრო/ სამაგისტრო და დამატებითი სპეციალობების (კულტურული ტურიზმი; კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი) პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების, სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 5 ივნისის სხდომის (ოქმი №32), განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2013 წლის 24 ივნისის სხდომისა (ოქმი №5) და მუსიკის ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 7 ივნისის სხდომის (ოქმი № 6) საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 და 27 მაისს დამტკიცებულ უმაღლეს საგანმანათლებლო საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამებში და მისანიჭებელი კვალიფიკაციები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან, თანახმად დანართისა.

2. შეტანილ იქნას ცვლილებები დამატებით სპეციალობების საგანმანათლებლო პროგრამებში: კულტურული ტურიზმი; კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი.

3. დადგენილებით იხელმძღვანელონ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტმა და შესაბამისმა ფაკულტეტებმა.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 ივნისის
№ 04-01/44 დადგენილების დანართი

აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხური	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით	მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბაკალავრიატი	სახვითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დაზგური ფერწერა; დაზგური გრაფიკა)	სახვითი ხელოვნების ბაკალავრი
	დიზაინი (კონცენტრაციები: ტანსაცმლის დიზაინი; ტექსტილის დიზაინი; ხის მხატვრული დამუშავება და ავეჯის დიზაინი)	დიზაინის ბაკალავრი
	არქიტექტურა და დიზაინი (კონცენტრაციები: შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი	არქიტექტურის ბაკალავრი
	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დრამატული თეატრის რეჟისურა; დრამისა და კინოს სამსახიობო; თოჯინების თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის სამსახიობო)	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი
	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კონცენტრაციები: კინორეჟისურა; ტელერეჟისურა)	აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი
	ხელოვნების ისტორია და თეორია (კონცენტრაციები: ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი
	მასობრივი კომუნიკაცია - ტელე-რადიო ჟურნალისტიკა	მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი
	კულტურული ტურიზმი	ტურიზმის ბაკალავრი
	კულტურისა და ხელოვნების მენეჯმენტი	მენეჯმენტის ბაკალავრი
	საშემსრულებლო ხელოვნება (კონცენტრაციები: ფორტეპიანო; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი
	მუსიკის თეორია, აკადემიური გუნდის დირიჟორობა	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი
მაგისტრატურა	დიზაინი (კონცენტრაციები: ტექსტილის დიზაინი; მოდის დიზაინი)	დიზაინის მაგისტრი
	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (კონცენტრაციები: დრამატული თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა)	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი
	აუდიოვიზუალური ხელოვნება (კონცენტრაციები: მხატვრული კინოს რეჟისურა; სატელევიზიო ფილმების რეჟისურა)	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
	ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი
	ხელოვნების მენეჯმენტი	მენეჯმენტის მაგისტრი
	საშემსრულებლო ხელოვნება (კონცენტრაციები: ფორტეპიანო; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი
	მუსიკის თეორია; ეთნომუსიკოლოგია.	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი

სწორია: